ქალთა ეკონომიკური გაძლიერება
საქართველოს სამთავრობო პოლიტიკასა და შესაბამის სამოქმედო გეგმებში
გენდერული კომპონენტის ინტეგრირების გზით

მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარება

ევროპის ფონდი მხარს უჭერს როგორც სოციალური საწარმოების განვითარებას, ისე ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებას ინკლუზიური პოლიტიკური და ეკონომიკური მმართველობის ხელშეწყობის მიზნით. ვინაიდან ეს სფეროები თავიანთი არსით ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული და ეკონომიკურ განვითარებას უკავშირდება, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიაში გენდერული ასპექტების ინტეგრირება ევროპის ფონდის მიერ განისაზღვრა, როგორც ინკლუზიური ზრდის მიმართულებით, საქართველოს მდგრადი განვითარების მიზნების შესაბამისად გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი.

მცირე და საშუალო მეწარმეობის და ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისათვის ხელშემწყობი გარემოს ადვოკატირების გზაზე, ევროპის ფონდმა განახორციელა საქართველოს 2016-2020 წლების მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის გენდერული შეფასება. აღნიშნულის ლოგიკური გაგრძელება გახლდათ ქალ მეწარმეებზე კორონავირუსის პანდემიის ზეგავლენის შემფასებელი ანგარიშის მომზადება 2020 წლის აგვისტო-სექტემბერში. აღნიშნული ანგარიშის კონკრეტული მიზნებია: ა) შეაფასოს კოვიდ-19 პანდემიის ზეგავლენა მეწარმე სუბიექტებზე, რომლებიც დაფუძნებულია ქალების მიერ, კერძოდ, გამოიკვლიოს პანდემიის გავლენა ბიზნესების ფინანსურ, საოპერაციო და საქმიანობის სხვა ასპექტებზე; და ბ) ზოგადად, გამოკვეთოს ის ძირითადი ბარიერები, რომლებსაც ქალი მეწარმეები კორონავირუსის პანდემიამდე აწყდებოდნენ საქართველოში როგორც ბიზნესსაქმიანობის, ასევე, საზოგადოებაში მათი მდგომარეობის კუთხით.

2016-2020 წლების საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის და სხვა შესაბამისი სტრატეგიების ანალიზმა ცხადყო, მიუხედავად იმისა, რომ ქალთა მეწარმოების ხელშეწყობა ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს, კონკრეტული ნაბიჯები ამ კუთხით პრაქტიკულად არ გადადგმულა. უფრო მეტიც, სტრატეგიის 5 პრიორიტეტული მიმართულებიდან მხოლოდ ერთი, კერძოდ, მცირე და საშუალო მეწარმეთა უნარ-ჩვევების განვითარება და სამეწარმეო კულტურის ხელშეწყობა, მოიცავს გარკვეულ აქტივობებს, რომელიც მიმართულია ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისაკენ. ამასთან ერთად, მართალია 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმა ითვალისწინებდა მეწარმე ქალებისათვის ხელშემწყობი მექანიზმების შემუშავებას, ამ მხრივაც, სამწუხაროდ, პროგრესი არ აღინიშნა.

ევროპის ფონდი მიესალმება გადაწყვეტილებას, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ახალ სტრატეგიაში ორი ახალი პრიორიტეტული მიმართულების - ქალთა მეწარმეობის და მწვანე ეკონომიკის დამატებას. ფონდი მნიშვნელოვნად მიიჩნევს როგორც

აღნიშნული მიმართულებების, ისე მთლიანობაში სტრატეგიის შემუშავებისას ყველა დაინტერესებული მხარის აქტიური ჩართულობის უზრუნველყოფას.

საერთო ჯამში, გამოიკვეთა მთელი რიგი რეკომენაციებისა, რომელიც, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, მცირე და საშუალო მეწარმეობის და ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისათვის ხელშემწყობი გარემოს შექმნას ემსახურება.

რეკომენდაციები:

- კორონავირუსის პანდემიის ზეგავლენის შემფასებელი ანგარიშის თანახმად, პანდემიით გამოწვეული შედეგების აღმოფხვრის პროგრამების შემუშავებისთვის გადამწყვეტია ქალების ხმის გათვალისწინება. უშუალოდ ქალი მეწარმეებისაგან მიღებული უკუკავშირი ცხადყოფს, რომ მათი მდგომარეობის ხელშეწობაზე მიმართული შესაბამისი ინტერვენციის დაგეგმვისას და განხორციელებისას ყურადღება უნდა მიექცეს განსხვავებულ მდგომარეობას გეოგრაფიული მდებარეობის, განათლების და ოჯახური მდგომარეობის კუთხით და ერთ-ერთ პრიორიტეტად გამოვლინდა უმაღლესი განათლების არმქონე, რეგიონებში მცხოვრები და დაქორწინებული ქალების გაძლიერება.
- რაც შეეხება კონკრეტულ ჩარევებს, მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ფულადი დახმარება და დასაქმებულთა სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების განხორციელება იქნება.
- სამწუხაროდ, კვლავ აქტუალურ საკითხად რჩება მეწარმე ქალების (განსაკუთრებით თბილისის ფარგლებს გარეთ) მიმართ საზოგადოებაში ნეგატიური და სტერეოტიპული დამოკიდებულების არსებობა, რაც დამატებით ძალისხმევას საჭიროებს აღნიშნულის აღმოსაფხვრელად.
- მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის[1] შემუშავების პროცესში გენდერული თანასწორობა განხილულ უნდა იქნას როგორც გამჭოლი საკითხი და არა როგორც განყენებული თემა. გათვალისწინებული უნდა იქნას შესაბამისი დოკუმენტებით განსაზღვრული საერთაშორისო და ეროვნული ვალდებულებები და მნიშვნელოვანია აღნიშნული ვალდებულებების ასახვა როგორც სტრატეგიის დოკუმენტში, ასევე პროგრესის გასაზომად საჭირო მაჩვენებლებში.
- მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიასთან დაკავშირებული ინდიკატორების და კონკრეტულად, გენდერული ნიშნით სეგრეგირებული ინდიკატორების შემუშავება. პირველ ეტაპზე უნდა გაკეთდეს გენდერული ანალიზი, რაც ქალთა მეტი ჩართულობისათვის კონკრეტული მიზნის და შესაბამისი ქმედებების იდენტიფიცირების შესაძლებლობას იძლევა. მონიტორინგის სათანადოდ განსახორციელებლად, აუცილებელია, სტრატეგია შეიცავდეს მკაფიოდ განსაზღვრულ გენდერულ ინდიკატორებს, მათ შორის საბაზისო მდგომარეობის

[1] მცირე და საშუალო მეწარმეობის სტრატეგიასთან დაკავშირებული რეკომენდაციები შეგიძლიათ იხილოთ ევროპის ფონდის ინიციატივით და Nordic Consulting Group - NCG Sweden-ის მიერ მომზადებულ ***საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების 2016-2020 წლების სტრატეგიის გენდერული შეფასებაში*** შემდეგ ბმულზე: http://www.epfound.ge/wp-content/uploads/2018/10/SME-Gender-Assessment_GEO-1.pdf

ამსახველ ინდიკატორებს, რომელთან მიმართებაშიც ყოველწლიურად უნდა ხდებოდეს მიღწეული შედეგების შეფასება.

- მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის შემუშავებამდე, აუცილებელია უშუალოდ ქალი მეწარმეების, მათი ინტერესების დამცველი ან შესაბამის საკითხებზე მომუშავე ასოციაციების და ორგანიზაციების ჩართულობა. მნიშვნელოვანია ზემოაღნიშნული მოთამაშეებისა, თუ სხვა დაინტერესებული მხარეების სათანადო იდენტიფიცირება და კავშირის დამყარება ინფორმაციის ძირითად მიმწოდებლებთან, რათა მოხდეს: 1) არსებული სტრატეგიის შედეგების შეფასება; 2) მოსალოდნელი შედეგების (პრიორიტეტული მიმართულებების) განსაზღვრა; 3) შესაძლო დუბლირებისა და სინერგიების გამოსავლენად, არსებული და მიმდინარე ინიციატივების განსაზღვრა; 4) იმ ინდიკატორების განსაზღვრა, რომელთა საფუძველზეც უნდა შეფასდეს სტრატეგიის განხორციელების შემდეგი ეტაპი. მსგავსი თანამონაწილეობითი მიდგომა ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით უნდა იქნეს უზრუნველყოფილი აგრეთვე სტრატეგიის მონიტორინგისა და შეფასების პროცესში.
- მცირე და საშუალო საწარმოთა მხარდამჭერი ინსტიტუტების ორგანიზაციული შესაძლებლობების გაძლიერება ქალთა თანასწორობისა და გენდერული საკითხების ინტეგრირების უზრუნველყოფის კუთხით.